# საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების მიმართ: ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების ხელისუფლებების სტრატეგიების შედარება

მარიამ აბესაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები, ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები,საბჭოთა კვლევები)
მიმართულება: საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი გვალია, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

**განაცხადი**

*„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.*

**მარიამ აბესაძე**

**29.01.2021**

## სარჩევი

აბსტრაქტი ........................................................................................................ 3

Abstract........................................................................................................................ 4

შესავალი........................................................................................................................ 5

კვლევის აქტუალობა, მიზანი, საკვლევი კითხვები ................................................... 5

კვლევის მეთოდოლოგია.................................................................................................... 8

სამშვიდობო პოლიტიკა: თეორიული მიდგომები ......................................................... 9

ნაწილი 1: ნაციონალიზმი საქართველოში და კონფლიქტების ისტორია ....................... 12

ნაწილი 2: ლიტერატურის მიმოხილვა............................................................................ 16

ნაწილი 3: საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკა აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან/ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში 2004-2020 წლებში................................ 25

ნაციონალური მოძრაობის პერიოდი.................................................................................. 25

ქართული ოცნების სამშვიდობო პოლიტიკა 2013-2020 წლებში ........................................ 33

ნაწილი 4: საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკა ორი ხელისუფლების დროს, ექსპერტთა მოსაზრებები........................................................................................................ 36

დასკვნა .......................................................................................................................... 50

*გამოყენებული ლიტერატურა* ............................................................................ *56*

დანართი 1: რესპოდენტების ჩამონათვალი........................................................................ 61

დანართი 2: კითხვარი..................................................................................................... 62

## აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა აანალიზებს საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკის თავისებურებებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მიმართ ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების მმართველობის დროს, ადარებს აღნიშნული ხელისუფლებების ხედვებსა და სტრატეგიებს. აქცენტებს აკეთებს იმ ფაქტორებზე, რომლებიც განაპირობებს ამ ხელისუფლებების პოლიტიკურ სტრატეგიებს შორის განსხვავებებს. საქართველოს სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკაოკუპირებული რეგიონების მიმართ, ხელისუფლებებთან ერთად მეტ-ნაკლებად იცვლებოდა. ფორმებს იცვლიდა მიდგომები და ხედვები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოგვარებულიყო კონფლიქტი. კვლევაში ირკვევა, თუ როგორი პოლიტიკური სტრატეგია ჰქონდა საქართველოს სახელმწიფოს ოკუპირებული რეგიონების მიმართ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს (2004-2012წ.წ) და შეცვალა თუ არა ეს სტრატეგია ქართულმა ოცნებამ ქვეყნის მმართველ ძალად მოსვლის შემდეგ 2013-2020 წლებში. კვლევის მიხედვით, ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური სტრატეგია ოკუპირებულ რეგიონებთან მიმართებაში არის შედარებით უფრო პრო აქტიური, მმართველობის პირველ პერიოდში განსაკუთრებით, ხოლო ქართული ოცნების სტრატეგია გამოირჩევა პასიურობით.



**ძირითადი ცნებები** : *ოკუპირებული რეგიონები, ეთნიკური კონფლიქტი, კონფლიქტის ზონები, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი, პოლიტიკური სტრატეგია, სამშვიდობო პოლიტიკა, ნაციონალიზმი.*

# Abstract

The following thesis studies the peculiarities of Georgia's peace policy during the governance of the United National Movement and the Georgian Dream towards Abkhazia and the Tskhinvali region / South Ossetia. It compares the visions and strategies of these two ruling parties. The research also focuses on the factors that contribute to the differences between the political strategies of these governments.

According to the study, the political strategy of the United National Movement in relation to the occupied regions is relatively more pro-active, especially in the first period of rule, while the strategy of the Georgian Dream is characterized by passivity. Considering that Russia is one of the parties involved in the conflict, the peculiarities of relations with Russia plays an important role in the study. Georgia's peace policy toward occupied regions kept changing to some extent. Approaches and visions about conflict resolution have changed too. According to the following research we can summarise the political strategy of the Georgian state in relation to occupied regions during the mandate of United National movement (2004-2012) and observe if the Georgian Dream changed this strategy after coming to power, in 2013-2020.

The present paper analyses preconditions and backgrounds which contributed to the escalation of the discussed conflicts. An important place is given to explaining the peculiarities of nationalism in Georgia.



**Keywords:** *Occupied Regions; Ethnic Conflict; Conflict Zones; Abkhazia; Tskhinvali Region/South Ossetia; Political Strategy; Peace Policy; Nationalism.*